სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

შპს „ინერტული მასალების კომბინატს“, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბარდუბანში, კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 33.06.37.288) გააჩნია ლიცენზია (№10002055) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე (ჯამში 57000 $მ^3$ მდინარის ბალასტი, ფართობი 1,9 ჰექტარი) და ამასთან გააჩნია მოპოვებული წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი. საწარმოში ხდება მდინარის ბალასტის გადამუშავება და მისგან ქვიშისა და ღორღის სხვადასხვა ფრაქციის მიღება. ამასთან, კომპანიას საპროექტო ტერიტორიაზე საკუთარი ავტოტრანსპორტის საწვავით გამართვის მიზნით, განთავსებული აქვს ნავთობპროდუქტების რეზერვუარი.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტითა და ამავე დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი. გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

შპს „ინერტული მასალების კომბინატის“ დირექტორი

ლევან სვანიძე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
11. 07. 2022 წ.
№ 3/15

შპს ინერტული მასალების კომბინატი
406217160